სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

___25. 07. 2014 წ. _____ № __139__

თბილისი

სტუდენტთა აღდგენის წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2014 -2015 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სწავლების სხვადასხვა საფეხურებზე (ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი სწავლება, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2014 წლის 25 აგვისტოდან 13 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველდღე 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე გამოსასვლელი დღეებისა და კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე–3 სართული, ოთახი N350);

2. სტუდენტთა აღდგენის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;

3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ–ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;

4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ ისინი სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არა უგვიანეს 15 სექტემბრისა;

5. 2014-2015 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების მომზადება და მისი დამოწმებული ასლის სსიპ – განათლების ხარისხის ეროვნულ

ცენტრში წარდგენა უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2014 წლის 18 სექტემბრისა;

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სწავლების დარგში ლ.კლიმიაშვილს;

7. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი **ა.ფრანგიშვილი**

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი

ი.ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ბ.მაისურაძე

დანართი 1

აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. ატესტატის (დიპლომის) ასლი;
5. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
6. გარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
7. სამხედრო მიწერის მოწმობის დედანი და ასლი (ვაჟებისათვის).

შენიშვნა: აღდგენის წესით დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება სტუ-ს სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების შესაბამისად, საფაკულტეტო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე.

დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის

რექტორის მოადგილე _____ ლ. კლიმიაშვილი

დასკვნა

სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ

(სტუდენტის სტატუსის აღდგენა)

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:			
სახელი, გვარი			
სტუდენტის პირადი ნომერი			
განათლების საფეხური:		❑ ბაკალავრიატი ❑ მაგისტრატურა	❑ დოქტორანტურა
უსდ, რომელშიც ირიცხებოდა სტუდენტი გარიცხვა/ამორიცხვამდე:			
ფაკულტეტი, რომელზეც ირიცხებოდა სტუდენტი გარიცხვა/ამორიცხვამდე			
სტუდენტის გარიცხვა/ამორიცხვამდე გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:			
უსდ-ში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი:		გარიცხვა/ამორიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი:	

ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:	
მიმღები ფაკულტეტი:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი:						
საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ შესწავლილი საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,		შეფასება	საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების სრული ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,	
	ECTS კრედიტი	აკადემიური საათი			ECTS კრედიტი	აკადემიური საათი

გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ:	
სტუდენტის მიერ გარიცხვა/ამორიცხვამდე შესწავლილი საგნების რაოდენობა:	
სტუდენტის მიერ გარიცხვა/ამორიცხვამდე დაგროვილი კრედიტების რაოდენობა:	

დასკვნა:	
❑ რეკომენდებულია აღდგენა	❑ აღდგენა არ არის რეკომენდებული
შენიშვნა	

მიმღებ ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა:	

ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი		
№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი
	სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:	

სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსი:

ი.ლომიძე

ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი:

ხელმოწერა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

ხელმოწერა

აკადემიური დეპარტამენტის უფროსი:

_____ _____

ხელმოწერა